

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებს და პროგრამებს, რომელთა განხორციელებაც გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით.

პრიორიტეტების დოკუმენტი მომზადებულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივნისის №385 ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

საქართველოს მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დასახული პრიორიტეტების, ასევე ქალაქ ბათუმში არსებული სიტუაციის ანალიზის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა და განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება (02 00)
- ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (03 00)
- განათლება (04 00)
- კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (05 00)
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (06 00)
- ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება (07 00)
- მუნიციპალური სერვისების განვითარება (08 00)

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი შედგება 14 ადმინისტრაციული ერთეულისგან და მისი საერთო ფართობი 64,94 კვ/კმ-ს შეადგენს და აღნიშნული მაჩვენებლით ქვეყნის მასშტაბით მე-3 ქალაქია. ქ. ბათუმის ფართობი ქვეყნის ფართობის 0,09%-ს, ხოლო რეგიონის ფართობის 2,2%-ს შეადგენს, გზების საერთო სიგრძე შეადგენს 377865,0 მეტრს.

ზღვისპირა აჭარა (ბათუმის მუნიციპალიტეტი) მოიცავს ვაკე-დაბლობებს და სუბტროპიკული ჰავისთვის დამახასიათებელი მაღალი თერმული რეჟიმით გამოირჩევა (საშუალო წლიური ტემპერატურა 14,5 გრ.ც., ზამთრის ყველაზე ცივი თვის – იანვრის საშუალო ტემპერატურა +6 გრ.ც.-ია). ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 2 200 მმ, ხოლო ჰაერის სინოტივე 80 %-ია. ქალაქი საქართველოს სახმელეთო და საზღვაო კარიბჭეა თავისი ღრმა საზღვაო პორტით, სარკინიგზო კვანძითა და მრეწველობის სხვა უნიკალური დარგებით.

საქსტატის 2019 წლის მონაცემებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 166,0 ათასი კაცია, რომლის 51,2% ქალია და 48,8% მამაკაცი. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ/კმ-ზე 2556 კაცია.

ბათუმის მოსახლეობის 70% შრომისუნარიანია (15-დან 64 წლამდე ასაკის მოსახლეობა), ხოლო ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში 78% შეადგენს. შრომისუნარიანი მოსახლეობის 49% თვითდასაქმებულია. ეკონომიკურად აქტიურია მოსახლეობის 54,6%. დასაქმებული მოსახლეობის 47% ბიზნეს სექტორზე მოდის. მოსახლეობის საშუალო ასაკი ქალის - 37,4 მამაკაცის - 34 წელია. სკოლის ასაკის მოსახლეობა 31480 რაც მთლიანი მოსახლეობის 19%-ია. პენსიონერთა რაოდენობა შეადგენს 21 564 ადამიანს, რაც მთლიანი მოსახლეობის 13%-ია, ხოლო სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა 13300 ადამიანია და შეადგენს მთელი მოსახლეობის 8,0 %-ს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა რეგიონის მოსახლეობის 46,7 %-ს, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის 4,5 %-ს შეადგენს.

ბათუმი საქართველოს ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი მუნიციპალიტეტია თბილისის შემდეგ. მისი წილი ქვეყნის ეკონომიკაში 6%-ია. დამატებული მთლიანი ღირებულება 1 სულ მოსახლეზე მუნიციპალიტეტში შეადგენს 5594 ლარს. ბათუმს აქვს სტარტაპის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საქართველოს სხვა თვითმმართველ ქალაქებთან შედარებით - 16,9 რეგისტრირებული ბიზნესი 1000 სულ მოსახლეზე, აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოს მასშტაბით 12,8-ს უტოლდება. 2018 წელს ქალაქის ბიზნეს სექტორში ფუნქციონირებდა 10469 საწარმო, მათ შორის 98,42% მცირე ზომის საწარმო.

მზარდი ტენდენციით გამოირჩევა მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა ქ. ბათუმში. მთლიანი დამატებული ღირებულებისა და დასაქმების მიხედვით, ადგილობრივი ეკონომიკის წამყვან სექტორებს წარმოადგენს მშენებლობა, ვაჭრობა, ტურიზმი (HoReCa), მრეწველობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები. ადგილობრივი ეკონომიკის თითქმის ყველა დარგი პირდაპირპროპორციულადაა მიბმული ტურიზმის სექტორზე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის საბოლოო შედეგების ანალიზი

ბიუჯეტის შემოსულობები:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 167,027.5 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2018 წლის გეგმიური მაჩვენებლის 99.8%-ია.

2018 წლის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებმა 162,247.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს;

საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 32,055.0 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 29,900.0 ათასი ლარის 107.2%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 19.2%-ს. საგადასახადო შემოსავლები ქონების გადასახადის და საშემოსავლო გადასახადის სახით იყო წარმოდგენილი;

ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 81,242.1 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 83,736.8 ათასი ლარის 97.0%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი შეადგენს 48.6%-ს.

სხვა შემოსავლების 2018 წლის საპროგნოზო მოცულობა 48,950.8 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 47,885.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 102.2%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 29.3%-ს შეადგენს.

2018 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა 4,779.7 ათას ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმის (5,900.0 ათასი ლარის) 81.0% -ია. შემოსავლის აღნიშნული სახის წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში შეადგენს 2.9%-ს. არაფინანსური აქტივების კლება ძირითადად მოიცავდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს.

ბიუჯეტის ასიგნებები პრიორიტეტების მიხედვით:

2018 წელს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა გადასახდელებმა 164,527.1 ათასი ლარი შეადგინა. რომელიც პრიორიტეტების და პროგრამების მიხედვით შემდეგია:

პრიორიტეტი: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება 26,340.1 ათასი ლარი. მათ შორის:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო 1,618.6 ათასი ლარი;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია 5,380.0 ათასი ლარი;

სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 19,225.2 ათასი ლარი;

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი 0.5 ათასი ლარი;

წვევამდელთა ტრანსპორტირება 14.4 ათასი ლარი;

თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება 42.8 ათასი ლარი;

მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება 60.0 ათასი ლარი;

პრიორიტეტი: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება 81,507.6 ათასი ლარი: მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება 36,440.7 ათასი ლარი;

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და სერვისის განვითარება 10,499.7 ათასი ლარი;

საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება 26,033.2 ათასი ლარი;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი 4,426.1 ათასი ლარი;

მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა 970.8 ათასი ლარი;

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა 1,330.1 ათასი ლარი;

ქალაქის კეთილმოწყობა 1,807.0 ათასი ლარი;

პრიორიტეტი: ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება 11,396.8 ათასი ლარი. მათ შორის:

ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება 7,907.2 ათასი ლარი;

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება 3,489.6 ათასი ლარი;

პრიორიტეტი: განათლება 14,883.3 ათასი ლარი. მათ შორის:

სკოლამდელი აღზრდა და განათლება 14,707.3 ათასი ლარი;

პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა 167.1 ათასი ლარი;

ზოგადი განათლების ხელშეწყობა 8.9 ათასი ლარი;

პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი 14,541.5 ათასი ლარი. მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა 5,726.5 ათასი ლარი;

მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა 4,006.6 ათასი ლარი;

კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები 2,407.9 ათასი ლარი;

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა 2,146.6 ათასი ლარი;

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება 133.5 ათასი ლარი;

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა 120.5 ათასი ლარი;

პრიორიტეტი: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 13,717.6 ათასი ლარი. მათ შორის:

ჯანმრთელობის დაცვა 3,649.8 ათასი ლარი;

სოციალური უზრუნველყოფა 9,363.5 ათასი ლარი;

სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა 704.2 ათასი ლარი.

პრიორიტეტი: ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება 225.8 ათასი ლარი. მათ შორის:

ქალაქის ურბანული განვითარება 184.0 ათასი ლარი;

ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა 41.8 ათასი ლარი;

პრიორიტეტი: მუნიციპალური სერვისების განვითარება 1,914.4 ათასი ლარი. მათ შორის: მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება 1,914.4 ათასი ლარი;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გეგმა

ბიუჯეტის შემოსულობები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 166,989.8 ათასი ლარის ოდენობით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 156,289.8 ლარს. აქედან:

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 175,514.6 ათას ლარს.

2019 წელს საქართველოს სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 37,656.9 ათასი ლარის ოდენობით.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 45,479.3 ათას ლარს.

2019 წელს არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები სახსრების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 10,700.0 ათას ლარს, რაც მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების (მიწის და შენობა-ნაგებობების) რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს.

2019 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთი გამოყენებული იქნება - 8,524.8 ათასი ლარის ოდენობით.

ბიუჯეტის ასიგნებები პრიორიტეტების მიხედვით:

2019 წელს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 175,514.6 ათასი ლარის ოდენობით. ასიგნებების განაწილება პრიორიტეტების და პროგრამების მიხედვით შემდეგია:

პრიორიტეტი: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება 28,126.4 ათასი ლარი. მათ შორის:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო 1,650.0 ათასი ლარი;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია 5,485.7 ათასი ლარი;

სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 19,555.5 ათასი ლარი;

სარეზერვო ფონდი 1,250.0 ათასი ლარი;

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი 50.0 ათასი ლარი;

წვევამდელთა ტრანსპორტირება 20.2 ათასი ლარი;

საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების გაძლიერება 55.0 ათასი ლარი;

მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება - 60.0 ათასი ლარი.

პრიორიტეტი: - მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება 81,140.1 ათასი ლარი.

მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება 44,359.6 ათასი ლარი;

სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება 8,858.1 ათასი ლარი;

საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება 16,343.5 ათასი ლარი;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი 6,757.1 ათასი ლარი;

მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა 828.7 ათასი ლარი;

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა 2,996.6 ათასი ლარი;

ქალაქის კეთილმოწყობა 996.6 ათასი ლარი;

პრიორიტეტი: ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება 15,920.1 ათასი ლარი. მათ შორის:

ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება 9,327.1 ათასი ლარი;

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება 6,593.0 ათასი ლარი;

პრიორიტეტი: განათლება 16,618.5 ათასი ლარი. მათ შორის:

სკოლამდელი აღზრდა და განათლება 16,437.5 ათასი ლარი;

პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა 170.0 ათასი ლარი;

ზოგადი განათლების ხელშეწყობა 11.0 ათასი ლარი;

პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი 14,020.6 ათასი ლარი. მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა 5,745.0 ათასი ლარი;

მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა 1,884.9 ათასი ლარი;

კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები 2,847.7 ათასი ლარი;

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა 2,586.5 ათასი ლარი;

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება 784.9 ათასი ლარი;

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა 171.6 ათასი ლარი;

პრიორიტეტი: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 16,304.5 ათასი ლარი. მათ შორის:

ჯანმრთელობის დაცვა 6,171.7 ათასი ლარი;

სოციალური უზრუნველყოფა 9,354.8 ათასი ლარი;

სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა 778.0 ათასი ლარი.

პრიორიტეტი: ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება 332.5 ათასი ლარი. მათ შორის:

ქალაქის ურბანული განვითარება 130.0 ათასი ლარი;

ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა 202.5 ათასი ლარი;

პრიორიტეტი: მუნიციპალური სერვისების განვითარება 3,051.9 ათასი ლარი. მათ შორის: მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება 3,051.9 ათასი ლარი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტები

პრიორიტეტის დასახელება: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება (02 00)

პრიორიტეტის კავშირი ქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან:

პრიორიტეტი გამომდინარეობს ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, მასში განხილულია სტრატეგიული განვითარების გეგმის შემდგომი სტრატეგიული მიმართულებები, პროგრამები და პროექტები:

4.1 კომუნალური სერვისების გაუმჯობესება;

4.2 ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები და საბინაო პოლიტიკა;

4.3 მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარება;

პრიორიტეტის დასაბუთება:

მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის და მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ განმსაზღვრელ წინაპირობას მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ხარისხი წარმოადგენს, რაც უშუალო კავშირშია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომ გაუმჯობესებასთან. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილებების მნიშვნელოვანი ნაწილი ინფრასტრუქტურულ საკითხებს უკავშირდება. შესაბამისად ქალაქის მთელ ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვის მდგრადი სისტემის დანერგვა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებებს, უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ხარისხი, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე. მნიშვნელოვანია მისი პირდაპირი კავშირი ქალაქში ტურიზმის განვითარების პერსპექტივებთან. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ხედვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროში უკავშირდება ქალაქში ტურიზმის განვითარებას. ასევე, გარდა ეკონომიკური განვითარებისა,

თავის მხრივ, გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურის არსებობა ხელს უწყობს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას და საცხოვრებელი გარემოს ხარისხის გაუმჯობესებას.

ბათუმში 2008 წლიდან მიმდინარეობს ერთ-ერთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი - ბათუმის წყალმომარაგებისა და წყალარინების რეაბილიტაცია, რომელიც გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შეღავათიანი სესხისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

პროექტის პირველი და მეორე ფაზის დაფინანსების შედეგად განხორციელდა ქალაქის ძველი ტერიტორიის ფარგლებში 3/4 -ის წყალმომარაგების და ქალაქის ტერიტორიის 1/3 -ის წყალარინების სისტემის სრული რეაბილიტაცია. პირველი და მეორე ფაზის ფარგლებში დასრულდა წყლის სამარაგო რეზერვუარებისა და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა, ასევე სატუმბი სადგურებისა და წყლის გადამცემი სადგურების რეაბილიტაცია. დასრულდა ბათუმის სამხრეთ სანაპირო ზოლის ახალსოფელი-გონიო-კვარიათი-სარფის წყალარინების სისტემის მშენებლობა. ასევე, წყალარინების გამწმენდი და ზღვაში ჩამშვები ნაგებობის მშენებლობა.

პროექტის მესამე-მეოთხე ფაზის ფარგლებში განხორციელდა ჩაქვი - მახინჯაური - მწვანე კონცხის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა, რომლის ფარგლებშიც აშენდა 2 წყლის სამარაგო რეზერვუარი ჩაქვის ტერიტორიაზე, ასევე მიმდინარეობს ბათუმის ძველი საზღვრების ფარგლებში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის სრული რეაბილიტაცია, კერძოდ დასრულდა წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია ე.წ. ჭაობის დასახლებაში, ბონი-გოროდოკის დასახლებაში, ბარცხანისა და თამარის დასახლებაში. წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია დასრულდა ანგისის, ჩაისუბნის, ბონი-გოროდოკისა და თამარის დასახლებაში.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა მეოთხე ფაზის ფარგლებში მიმდინარეობს (2020 – 2023 წწ.) წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები გონიო - კვარიათის დასახლებაში, რაც ითვალისწინებს ასევე მდგრადი წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით წყლის სამარაგო რეზერვუარის მშენებლობას კვარიათის ტერიტორიაზე (მოცულობით 2000 კუბ.მ.), მეჯინისწყალის წყალმომარაგების სათავე ნაგებობიდან - კვარიათის სამშენებლო რეზერვუარამდე წყლის გადამცემი მაგისტრალისა და გონიო - კვარიათის წყალმომარაგების ცენტრალური ქსელის მშენებლობას. 2019 წლის მესამე კვარტლის მდგომარეობით დასრულებულია 2000 კუბ.მ. წყალმომარაგების რეზერვუარის რკინაბეტონის საფუძვლისა და კედლების მოწყობის სამუშაოების 30% და 1,8 კმ. ცენტრალური წყალმომარაგების მაგისტრალის მოწყობა. ასევე პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია ჯავახიშვილის ქუჩიდან მდ. მეჯინისწყლამდე, რომელიც მოიცავს ლეონიძის, ხახულის, აღმაშენებლის, ფიროსმანის, ინასარიძის, ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარე დასახლებას.

მიმდინარეობს ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემოერთებული ტერიტორიების წყალმომარაგების სამუშაოების მეორე ეტაპი, ასევე განხორციელდა ახლადშემოერთებული ტერიტორიების, მდინარე მეჯინისწყლის ხიდიდან ფრიდონ ხალვაშის გამზირის გასწვრივ გზის მარჯვენა მხარეს (მდინარე ჭოროხის მიმდებარე ტერიტორია) წყალმომარაგებისა და ხახულის II შესახვევში საცხოვრებელი სახლების

წყალმომარაგების ქსელზე მიერთების სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა.

პროექტის ფარგლებში ხორციელდება ა და ბ წყალარინების კოლექტორების რეაბილიტაცია.

გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში ხელი მოეწერა KfW ბანკის მიერ მხარდაჭერილი პროექტის გაგრძელების ხელშეკრულება, 60 მილიონი ევროს ღირებულებით (ახალი ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია), იმისათვის, რომ კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში განხორციელდეს ქალაქის შემოერთებულ ტერიტორიების (ადლია, აეროპორტი, კახაბერი, დაბა ხელვაჩაური, მწვანე კონცხი, მახინჯაური) წყალარინების სისტემების ეტაპობრივი განვითარება. კერძოდ შეთანხმებულია პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი პრიორიტეტული ღონისძიებები: ა) წყალარინების ცენტრალური და სამომხმარებლო ქსელისა და თანმდევი ინფრასტრუქტურის მოწყობა ადლია, აეროპორტი, კახაბერი, დაბა ხელვაჩაური, მწვანე კონცხისა და მახინჯაურის დასახლებაში; ბ) არსებული წყალარინების გამწმენდი ნაგებობის გაფართოება და განვითარება (აზოტისა და ფოსფორის გაუვნებელოება); გ) წყალარინების A სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია; დ) წყალმომარაგების სამარაგო რეზერვუარის მშენებლობა ინჯალოს რეზერვუარების მიმდებარედ (დამატებითი 5000 კუბ.მ. წყლის რეზერვუარის მშენებლობა); ე) მეჯინისწყალის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია/განვითარება; ვ) ჩაქვის წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია;

მუნიციპალური და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში, განსაკუთრებულად მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა, რაც მდგომარეობს ქალაქის დატბორვის რისკების მინიმიზაციაში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მიმდინარეობს ჯავახიშვილისა და გიორგი ბრწყინვალეს ქუჩის სანიაღვრე კოლექტორების კაპიტალური რეაბილიტაცია. ასევე პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს არდაგანის ტბის მიმდებარედ სანიაღვრე სატუმბი სადგურის მშენებლობა. აღნიშნული სანიაღვრე ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდება 2020 წლის პირველ ნახევარში. გარდა ამისა პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შავშეთის, სულაბერიძისა და მთისძირის ქუჩების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში ხორციელდება წყალარინებისა და წყლის სისტემების მაგისტრალური და სამომხმარებლო ქსელის რეაბილიტაცია, მუნიციპალური ბიუჯეტიდან გაგრძელდება პროექტების თანადაფინანსება და ინდივიდუალური სახლის დაერთებების სამუშაოების დაფინანსება.

საშუალოვადიან პერსპექტივაში, ქალაქისთვის მნიშვნელოვანია საგზაო - სატრანსპორტო სისტემების მდგრადი განვითარება და ქალაქის საგზაო ქსელის გამტარუნარიანობის გაუმჯობესება. აღნიშნული, გარდა საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და კაპიტალური მშენებლობისა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ე.წ. „ჭაობის“, ბენზე-ბარცხანის, ბონი-გოროდოკის, თამარის, გონიო-კვარიანის დასახლებების ქუჩების კაპიტალური რეაბილიტაცია, ასევე დაკავშირებულია სამგზავრო-სატრანსპორტო მუნიციპალური სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებასთან.

აღსანიშნავია, რომ ქალაქი ბათუმი წარმოადგენს განმახორციელებელ პარტნიორს UNDP/GEF საგრანტო პროექტში „ინტეგრირებული მდგრად ურბანული ტრანსპორტის განვითარება ქალაქ ბათუმსა და აჭარის რეგიონში“, რომლის ფარგლებშიც საშუალოვადიან პერიოდში დაგეგმილია ქალაქის სატრანსპორტო სისტემის ძირეული გარდაქმნა:

- მიმდინარეობს მიკროავტობუსების ოპტიმიზაცია, რომლის მიხედვითაც ეტაპობრივად მცირდება მიკროავტობუსების რაოდენობა, რაც ქალაქის ცენტრალურ ქუჩებს მნიშვნელოვნად განტვირთავს.

- იცვლება მუნიციპალური ტრანსპორტის ქსელი და გამოყენებული იქნება მგზავრთა გადასასხდომი კვანძები (ტერმინალები). შედეგად, გაიზრდება მუნიციპალურ ავტოტრანსპორტის მიერ გადაყვანილი მგზავრთა რაოდენობა.

- სხვა მუნიციპალიტეტებიდან შემომავალი მიკროავტობუსების ადმინისტრირება ეტაპობრივად ხორციელდება ბაგრატიონის ქუჩის გავლით ავტოსადგურში, რაც უზრუნველყოფს მოძრაობის განტვირთვას.

- ქალაქის ტერიტორიაზე, გონიოსა და ქობულეთის მხრიდან, მოეწყობა რეგიონული ტერმინალები და ტურისტული პარკირების სივრცეები. გონიოს მხრიდან, სამრეწველო ზონაში უკვე გამოიყო ადგილი და დაიწყო რეგიონული ტერმინალის დეტალური პროექტირება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მაისის #43 დადგენილებით დამტკიცდა „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 კატეგორიის ავტობუსებისათვის სამარშუტო ხაზები და მარშრუტების სქემა“, რომლითაც განისაზღვრა ახალი სამარშუტო ქსელი. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მამიებელთა კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის #53 განკარგულების საფუძველზე ჩატარდა კონკურსი და 1 სექტემბრიდან მიკროავტობუსები ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოძრაობენ ახალი მარშრუტებით.

ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით დამტკიცდა ახალი სამარშრუტო ქსელი.

მიმდინარეობს მუნიციპალური ავტობუსების პარკის განახლება. ბათუმის ავტობუსების პროექტის (მე-2 ფაზა) ფარგლებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) გაფორმდა სასესხო და საგრანტო შეთანხმება, რომლის ფარგლებში შეძენილი იქნა 40 ერთეული დაბალემისიური დიზელი ევრო 5 საწვავზე მომუშავე “ISUZU ATAMAN”-ის მოდელის ავტობუსები, რომლებიც მოძრაობენ დადგენილ სამარშრუტო ხაზებზე და 2019 წლის 10 სექტემბერს, EBRD-ის მიერ სატენდერო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულად გამოვლენილ კომპანიასთან - ბელორუსულ საწარმო “BKM”-თან („ბელკომუნამაში“) გაფორმდა ხელშეკრულება ავტობუსების შესყიდვის თაობაზე, რომლის საფუძველზეც ეტაპობრივად განხორციელდება 8 ერთეული ელექტროავტობუსის შემოყვანა ქალაქში, ხელშეკრულების ზალაში შესვლიდან 8 თვის განმავლობაში

- მიკროავტობუსებში, მსგავსად მუნიციპალურ ავტოტრანსპორტისა დაინერგება უკონტაქტო გადახდის სისტემა. მიკროავტობუსებში, ისევე როგორც მუნიციპალურ ავტოტრანსპორტში, დაინერგება უკონტაქტო გადახდის სისტემა.

- მიკროავტობუსებისათვის სავალდებულო იქნება GPS სისტემის დამონტაჟება, რომელიც უზრუნველყოფს მონიტორინგს მათ გადაადგილებაზე, ასევე დაინერგება დისპეჩერიზაციის სისტემა.

- მიმდინარეობს ველობილიკების მოწესრიგება და ახალი ველობილიკების მოწყობა.

- ქალაქის ცენტრალური ქუჩებში დაინერგება პარკირების საფასურის საათობრივად გადახდის სისტემა.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

- მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული, კომფორტული და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა;

- ეფექტური კომუნალური მომსახურების დანერგვა ქალაქის მთელ ტერიტორიაზე;

- ეფექტური და მოთხოვნაზე ორიენტირებული მუნიციპალური სერვისების განვითარება;

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება
- საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია,დემონტაჟი;
- მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;
- ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა;
- ქალაქის კეთილმოწყობა.

პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 02 01

პროგრამის მიზანი:

ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა;

- საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა;
- გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

შექმნილია სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და ფეხითმოსიარულეთა შეუფერხებელი გადაადგილება.

პროგრამა: სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 02 02

პროგრამის მიზანი:

სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზება და მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვა;
- მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება;
- ბათუმის ავტობუსების პროექტის თანადაფინანსება;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ქალაქის ქუჩებში მოწესრიგებულია სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობა და უზრუნველყოფილია შეუფერხებელი და ხარისხიანი მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი.

პროგრამა: საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 02 03

პროგრამის მიზანი:

ქალაქში მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნა

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა;
- წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა;
- ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (KfW);

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ქალაქის საზღვრებში (მათ შორის შემოერთებულ ტერიტორიაზეც) რეაბილიტირებულია წყლის, წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემის ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგება

პროგრამა: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგოების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარული შენობების რეაბილიტაცია

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 02 04

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია ქალაქის მასშტაბით ამორტიზირებული და ექსპლუატაციისათვის უვარგისი საბინაო ინფრასტრუქტურის შემცირება. ამასთანავე გრძელვადიან პერიოდში აუცილებელი პრობლემების მოგვარების შემდგომ, მოქალაქეთა პასუხისმგებლობის ამაღლების მხარდაჭერა, იმისათვის რომ დამოუკიდებლად განახორციელონ საერთო სარგებლობის საკუთრების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგოების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

- საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ქალაქში გაუმჯობესებულია საცხოვრებელი გარემო და მინიმუმამდეა შემცირებული ამორტიზებული საბინაო ინფრასტრუქტურა.

პროგრამა: მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 02 05

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოკლევადიან პერიოდში უზრუნველყოს მუნიციპალური სასაფლაოების სერვისის ხარისხიანი და შეუფერხებელი მიწოდება და გრძელვადიან პერიოდში გადაჭრას ქალაქის სასაფლაოსთან დაკავშირებული პრობლემები.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;
- მუნიციპალური სასაფლაოების მშენებლობა.
- პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:
გაუმჯობესებულია მუნიციპალური სასაფლაოების სერვისის მიწოდება.

პროგრამა: ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 02 06

პროგრამის მიზანი:

საქალაქო მეურნეობის მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და განვითარება, ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარების კოორდინაცია.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ა(ა)იპ -საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო;
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა;
- საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობისა და განვითარების პროგრამები ხორციელდება შეუფერხებლად.

პროგრამა: ქალაქის კეთილმოწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 02 07

პროგრამის მიზანი:

საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. ქალაქის იერსახის მოწესრიგება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ქალაქის გაფორმების ღონისძიებები.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაუმჯობესებულია ქალაქის იერსახე.

პრიორიტეტის დასახელება - ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (03 00)

პრიორიტეტის კავშირი ქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან:

პრიორიტეტი გამომდინარეობს ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, მასში განხილულია სტრატეგიული განვითარების გეგმის შემდგომი სტრატეგიული მიმართულებები, პროგრამები და პროექტები:

4.1 ქალაქის კომუნალური სერვისების გაუმჯობესება;

4.4 ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება. განახლებადი ენერგიის გამოყენების ზრდა

4.5 ქალაქის გამწვანებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებები

პრიორიტეტის დასაბუთება:

ქალაქში საცხოვრებელი გარემოს მდგრადი განვითარების მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება - ღია/სარეკრეაციო სივრცეების შექმნა, მწვანე საფარის გაზრდა და შესაბამისი მართვის სისტემების დანერგვა. ასევე მნიშვნელოვანია ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტური სისტემის დანერგვა ქალაქის მთელ ტერიტორიაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, კერძოდ კი ჰაერის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება, მნიშვნელოვანია ავადობების შემცირების მიმართულებით. ეკოლოგიური საკითხები, გლობალურ კონტექსტში განიხილება ასევე კლიმატის ცვლილების შემცირებისა და ადაპტაციის მიმართულებით. აღნიშნული მიმართულებით კონკრეტული ღონისძიებების გატარება, როგორც მერების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების, ასევე ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტით წარმოდგენილი მიზნების შესრულების საშუალებას იძლევა.

2011 წელს მერების შეთანხმების ხელმოწერით, ქ. ბათუმი შეუერთდა ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს 2020 წლისთვის სათბურის გაზების ემისიების ქალაქის სამოქმედო ტერიტორიაზე მინიმუმ 20%-ით შემცირებას – მიზანი, რომელიც მიღწეულ უნდა იქნას ქალაქის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ბათუმის მერიამ შეიმუშავა ენერგეტიკის მდგრადი განვითარების გეგმა, რომელიც იყენებს მასალებს UNDP/GEF პროექტის - „მესამე ეროვნული შეტყობინება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ“ (შემდგომში მესამე ეროვნული შეტყობინება) მიერ მომზადებული გამარტივებული სამოქმედო გეგმიდან. ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა მოიცავს:

- სათბურის გაზების საბაზისო ემისიის ინვენტარიზაციას ტრანსპორტის, შენობების, გარე განათების, ნარჩენების და გამწვანების სექტორში;
- ამ სექტორებისთვის სათბურის გაზების გაფრქვევის საბაზისო, ე.წ. ტრადიციული გზით საქმიანობის (BAU) სცენარის მომზადებას;
- ამ სექტორებში 2020 წლისთვის სათბურის გაზების ემისიების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას და მათი ეფექტის შეფასებას;
- მონიტორინგის გეგმას;
- ადგილობრივი პოტენციალის შექმნისა და ცნობიერების ამაღლების სტრატეგიას.

აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, 2014 წლიდან ქ. ბათუმის მერია ახორციელებს კლიმატის ცვლილების შერბილების ღონისძიებებს განახლებადი ენერგიის და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებით და თანამშრომლობს სხვადასხვა

საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციასთან ტრანსპორტის, შენობების, გარე განათებისა და ნარჩენების მართვის სექტორებში.

აღნიშნული გეგმის საფუძველზე, 2014 წლიდან, საერთაშორისო თანამშრომლობით (გრანტი/სესხი) განხორციელდა და მიმდინარეობს შემდეგი პროექტები:

1. „სუფთა ენერგიის პროგრამა“ - გარე განათების სადემონსტრაციო პროექტი - USAID/Winrock თანამშრომლობის ფარგლებში, USAID-ის გრანტით განხორციელდა 136 ერთეული ენერგოეფექტური გარე განათების სანათის დამონტაჟება გორგილაძის ქუჩაზე. პროექტის თანამონაწილეობისათვის, ქ. ბათუმის მერიის მიერ განხორციელდა გორგილაძის ქუჩის გაგრძელებისა და კეთილმოწყობის სამუშაოები, ასევე მოეწყო შინდისის გმირების სახელობის სკვერი. სკვერი გაშენებულია 4 ჰა ფართობზე და ადაპტირებულია ევროსტანდარტების შესაბამისად.

2. ენერგოეფექტურობის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შენობებისათვის - პროექტი განხორციელდა გერმანიის განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი 300 000 ევროს გრანტის ფარგლებში. პროექტის მიერ მომზადდა მუნიციპალიტეტის შენობების ბაზის შექმნა, აღნიშნული ბაზიდან დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად 1 მრავალსართულიანი საცხოვრებელი და 29 საზოგადოებრივი/მუნიციპალური შენობის შერჩევა ენერგო აუდიტისათვის მომზადებისა და შემდგომში ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელების მიზნით. ასევე საინვესტიციო სქემების შეთავაზება აღნიშნულ შენობებში ენერგოეფექტურობის ღონისძიებების დასაფინანსებლად. პროექტი ასევე ითვალისწინებს მდგრადი ურბანული განვითარების დაგეგმვისათვის კონცეპტუალური ჩარჩოს, პოლიტიკისა და ღონისძიებების შეთავაზებას (ბათუმის მახასიათებლებისა და საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად). აღნიშნული პროექტის ფარგლებში მომზადებული კვლევების საფუძველზე დაიწყო ახალი პროექტი - „ენერგოეფექტური ღონისძიებები და ასევე ევროკავშირის ენერგოეფექტურ სტანდარტებთან დაახლოება“, რომელიც ხორციელდება გერმანიასა და საქართველოს შორის ფინანსური თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში და რომელსაც გრანტის (გრანტი - 5 მლნ ევრო; ბათუმის მერიის თანადაფინანსება - დაახლოებით 1 მლნ ევრო (გადასახადები, ეზოს კეთილმოწყობა)) სახით დახმარებას უწევს გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW), მითითებული პროექტის ფარგლებში 2019 წლის 18 ივნისს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის გაფორმდა განსაკუთრებული (საგრანტო) შეთანხმება, რომლითაც გრანტის მოცულობა გაიზარდა 1 800 000,0 ევროთი და გრანტის მოცულობა საერთო ჯამშია დაახლოებით 8 მილიონ ევროს შეადგენს. პროექტის პირველი კომპონენტი ითვალისწინებს სადემონსტრაციო პროექტის განხორციელებას ბათუმში, კერძოდ, სხვადასხვა უახლესი ტექნოლოგიების ტესტირებას საჯარო შენობების - 25 საბავშვო ბაღის - ენერგოეფექტური ტექნოლოგიებით მოდერნიზების (რეაბილიტაცია) მიზნით. პროექტის მეორე კომპონენტი გულისხმობს სადემონსტრაციო პროექტის რეპლიკაციას ეროვნულ დონეზე. პროექტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ენერგოეფექტური მასალების მიმართულებით ქართული ბაზრის განვითარება.

3. „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში“ (WMTR) - პროექტი ხორციელდება USAID -სა და CENN თან თანამშრომლობით. პროექტის ფარგლებში, ქ. ბათუმი დამეგობრებულია აშშ ქალაქ გოლდენტან. პროექტით განსაზღვრულია ქ. ბათუმისათვის წყაროსთან სეპარაციის დანერგვის ხელშეწყობა ქ. გოლდენტის გამოცდილების გაზიარებით და დახმარება ნარჩენების მართვის 5 წლიანი მუნიციპალური გეგმის შემუშავებაში. გეგმა უკვე შემუშავებული და დამტკიცებულია 2018 წელს. პროექტის ფარგლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსდა 10 ცალი სეპარირების დაფა, ასევე განხორციელდა 8 სტიქიურად მოწყობილი ნაგავსაყრელის დახურვა და შემდგომში მონიტორინგი.

4. ბათუმის მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმა (GCAP) - წარმოადგენს პროექტს, რომელსაც EBRD-ის გავლით აფინანსებს შვედეთის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SIDA). ბათუმში პროექტზე მუშაობა 2018 წლის აგვისტოდან დაიწყო და 14 თვის განმავლობაში დასრულდება. გეგმის შემუშავებაში ქალაქ ბათუმს დახმარებას უწევს საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია AECOM.

პროექტის ფარგლებში გეგმის შემუშავების მიზნით მომზადდა პოლიტიკის ჩარჩო ანგარიში და ტექნიკური შეფასების ანგარიში, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან, ასევე, მრგვალი მაგიდის ფორმატში გაიმართა შეხვედრები კერძო, სამოქალაქო, არასამთავრობო და საჯარო ორგანიზაციებთან **მწვანე ქალაქის ყველაზე პრიორიტეტული გამოწვევების** შესახებ, საკონსულტაციო გუნდის მიერ გარემოსდაცვითი მონაცემების ფართო მიმოხილვაზე დაყრდნობით, მოხდა პრობლემების იდენტიფიცირება და მათი პრიორიტეტიზაცია. აღნიშნული შეხვედრების საფუძველზე ჩამოყალიბდა ხედვა, შემუშავდა პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალაქის მწვანე განვითარებას და მომზადდა სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია, რომელიც მოიცავს ურბანული გარემოსდაცვითი საკითხების მხრივ არსებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. გეგმის სამუშაო ვერსია 2019 წლის სექტემბერში წარედგინა პასუხისმგებელ მხარეებს და ქალაქ ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის მმართველ საბჭოს. რის შემდგომაც მომზადდა მისი საბოლოო პროექტი და 2019 წლის 12 ნოემბერს გაიმართა საჯარო პრეზენტაცია.

5. გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) პროექტის - საქართველოს დიდი ქალაქებისთვის სატრანსპორტო სისტემის გაუმჯობესება - ფარგლებში ქალაქ ბათუმში, რომელიც მოიაზრება პროექტის ერთ-ერთ ბენეფიციარად, საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული კომპანია GOPA Infra ახორციელებს სატრანსპორტო მობილობის ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას.

6. EBRD ბათუმის ავტობუსების პროექტის ფარგლებში, სატენდერო დოკუმენტაციის და გაფორმებული ხელშეკრულების პირობების თანახმად, შემოყვანილია 40 ერთეული „ისუზუ ატამანის“ მოდელის დიზელის ავტობუსები და სამარშრუტო ხაზებზე ემსახურებიან მგზავრთა გადაყვანას. 2019 წლის 10 სექტემბერს საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას „BKM“-სა („ბელკომუნამაშ“) და შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება 8 ერთეული ელექტროავტობუსის შეძენასთან დაკავშირებით. ავტობუსების შემოყვანა ეტაპობრივად განხორციელდება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი 2019 წლის 24 მაისს მიუერთდა ასევე მერების შეთანხმების ოფისის ახალ ინიციატივას „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისათვის“, რომელიც კლიმატის შერბილების ღონისძიებებთან ერთად ითვალისწინებს არსებულ კლიმატთან ადაპტაციის ღონისძიებების გატარების ვალდებულებას. კონკრეტულად, ხელმომწერი მუნიციპალიტეტი ვალდებულია:

- 2030 წლისათვის, მინიმუმ 30%-ით შეამციროს CO₂ -ის (და სხვა სათბური აირების) ემისია საკუთარი ტერიტორიიდან, ენერგოეფექტურობისა და ენერგიის განახლებადი წყაროების ათვისების ღონისძიებების საშუალებით;
- კლიმატის ცვლილების შედეგებთან შეგუებით აამაღლოს მუნიციპალიტეტის მედეგობა.

ამ ინიციატივაზე მიერთების შემდგომ, მუნიციპალიტეტი მოამზადებს საბაზისო ემისიების ინვენტარიზაციას და შეაფასებს კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ რისკებისა და მოწყვლადობას, ასევე ორი წლის ვადაში წარადგენს მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმას, რომლის არსებობა ხელს შეუწყობს ენერგოეფექტურობის, ენერგიის განახლებადი წყაროების ათვისებისა და კლიმატის ცვლილების შედეგებთან შეგუების ღონისძიებების დაგეგმვასა და მათ განსახორციელებლად საერთაშორისო დონორი/ფინანსური ორგანიზაციების მხარდაჭერის მოპოვებას/დამატებითი ფინანსური სახსრების მოძიებას, რითაც მიღწეულ იქნება მიზანი - მწვანე ეკონომიკის განვითარება და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება ქალაქში.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

პრიორიტეტის მიზანია ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, ადამიანისა და გარემოზე დაბინძურების მავნე ზეგავლენის შემცირება.

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება;
- ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება.

გარდა საბიუჯეტო პროგრამების განხორციელებისა, პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების ზრდის მიმართულებით.

პროგრამა: ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება.

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 03 01

პროგრამის მიზანი:

ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ქალაქში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემო.

პროგრამა: ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება.

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 03 02

პროგრამის მიზანი:

ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, სარეკრეაციო და ტურისტული ინფრასტრუქტურის და გამწვანებული ტერიტორიის გაფართოება

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა;

- ქალაქის გამწვანების ღონისძიებები;

- ა(ა)იპ ბოტანიკური ბაღი

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ქალაქში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემო.

პრიორიტეტის დასახელება - განათლება (04 00)

პრიორიტეტის კავშირი ქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან:

პრიორიტეტი გამომდინარეობს ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, მასში განხილულია სტრატეგიული განვითარების გეგმის შემდგომი სტრატეგიული მიმართულებები, პროგრამები და პროექტები:

7.1 ინკლუზიური და ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის დანერგვა;

7.2 ინკლუზიური განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა;

7.3 ადამიანური კაპიტალის განვითარება.

პრიორიტეტის დასაბუთება:

ქალაქის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი ადამიანური კაპიტალია. განათლება ქალაქის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროა. შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია უწყვეტი სწავლის სისტემის განვითარების ხელშეწყობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს. საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის დანერგვა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

ქალაქის განვითარებასთან ერთად, მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი დაწესებულებების მშენებლობის აუცილებლობას. ქალაქის ყველა აღსაზრდელისათვის სკოლამდელი აღზრდისა და განათლებას მომსახურების მიწოდების მიზნით, პირველ ეტაპზე დაგეგმილია ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დაწესებულებების მშენებლობა, ხოლო დაწესებულებების სრული ავტორიზაციის შემდეგ - ვაუჩერიზაციის მოდელის დანერგვა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მოწყობა თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისად, რომელიც გაითვალისწინებს ენერგოდამოუკიდებლობას და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიებს. ამ მიზნით, ბათუმი პირველი ქალაქი იქნება საქართველოს მუნიციპალიტეტებს შორის, სადაც განხორციელდება ბაღების სრული რეაბილიტაცია ენერგოეფექტურობის ევროპული სტანდარტების შესაბამისად. გერმანიის მთავრობის მიერ გამოყოფილი დაახლოებით 8,0 მილიონი ევროს გრანტის ფარგლებში განხორციელდება პროექტი - **„ენერგოეფექტური ღონისძიებები და ასევე ევროკავშირის ენერგოეფექტურ სტანდარტებთან დაახლოება“**. პროექტი ითვალისწინებს სადემონსტრაციო პროექტის განხორციელებას ბათუმში, კერძოდ, სხვადასხვა უახლესი ტექნოლოგიების ტესტირებას საჯარო შენობების - ძირითადად საბავშვო ბაღების - ენერგოეფექტური ტექნოლოგიებით მოდერნიზების მიზნით. პროექტს, გერმანიასა და საქართველოს შორის ფინანსური თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში, გრანტის სახით დახმარებას უწევს გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW). პროექტის ფარგლებში, პირველ ეტაპზე შერჩეული 25 მუნიციპალური ბაღის შენობის დეტალური შესწავლა განხორციელდება და მომზადდება სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩამონათვალი. რომლის საფუძველზეც პროექტის აღმასრულებელი სააგენტო (ამ შემთხვევაში ქალაქ ბათუმის მერია) უზრუნველყოფს ტენდერის საფუძველზე შერჩეული შენობების რეაბილიტაციას. პროექტის ფარგლებში, აღმასრულებელ სააგენტოს დაეხმარება

საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე შერჩეული განმახორციელებელი საკონსულტაციო კომპანია. პროექტი 2024 წლისათვის დასრულდება.

ქალაქისათვის პრიორიტეტულია სააღმშრდელო და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიანად მიწოდება, აღმშრდელ-პედაგოგთა პერმანენტული პროფესიული გადამზადება, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების, კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმებისა და სტანდარტების დაცვა და აღსაზრდელთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მათი რეგულარული მონიტორინგი.

ქალაქისათვის ასევე პრიორიტეტულია ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა. ყოველწლიურად იზრდება ინკლუზიური განათლების ხარისხი და ზოგადი განათლების საფეხურზე ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების რაოდენობა. ქალაქისათვის მნიშვნელოვანია ამ ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასა და მის სასწავლო პროცესში ჩართვა. სწორედ ამ მიზნით განხორციელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურება და მათთვის სპორტული დარბაზების ადაპტირება.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის, ასევე მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა. ამ ეტაპზე ქალაქში ფუნქციონირებს 3 სახელმწიფო და 7 კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, რომელთაგანაც ყველაზე დიდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტია. ბათუმში ასევე ხელმისაწვდომია პროფესიული განათლება. უმაღლესი და პროფესიული განათლება, თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას არ წარმოადგენს, თუმცა, ბათუმის, როგორც დინამიურად მზარდი ქალაქისთვის, აუცილებელია კონკურენტუნარიანი, შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების განვითარება, ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მათი უცხოეთში სტაჟირებისა და დეფიციტურ და მოთხოვნად სპეციალობებზე მომზადება - გადამზადების ხელშეწყობა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ადგილობრივი კადრების განვითარების ხელშეწყობა.

მნიშვნელოვანია ასევე, სათანადო ყურადღება მიექცეს ბათუმის უმაღლესი სასწავლებლების ცნობადობის გაზრდას განათლების საერთაშორისო ბაზარზე. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, უფლებამოსილების ფარგლებში, ხელს შეუწყობს ქალაქ ბათუმში ახალი, ევროპული საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნასა და ფუნქციონირებას, განახორციელებს ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ინიცირებული იმ პროექტების მხარდაჭერას, რომლებიც ითვალისწინებენ ამ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ცნობადობის გაზრდას. პრიორიტეტის ფარგლებში ასევე, განხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა მათი საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობის გზით.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

ადრეული და სკოლამდელი აღზრდის სისტემის რეფორმის შესაბამისად, უზრუნველყოს თანამედროვე და სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის შექმნა და ფუნქციონირება.

ქალაქში ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა და ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ცნობადობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდა.

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- სკოლამდელი აღზრდა და განათლება;
- ზოგადი განათლების ხელშეწყობა;
- პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა.

პროგრამა: სკოლამდელი აღზრდა და განათლება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

განათლება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 04 01

პროგრამის მიზანი:

სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანება“;
- საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია;
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესება;
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემაში ვაუჩერიზაცია.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო

პროგრამა: პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

განათლება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 04 02

პროგრამის მიზანი:

ახალგაზრდების კვალიფიკაციის ამაღლება, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი ახალგაზრდა კადრების ზრდა, ბათუმელ ახალგაზრდებს შორის აკადემიური მოსწრების ამაღლების სტიმულირება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის;
- საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ხელშეწყობილია ბათუმელი ახალგაზრდების პროფესიული განვითარება და ამაღლებულია ბათუმელ სტუდენტთა აკადემიური მოსწრება.

პროგრამა: ზოგადი განათლების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

განათლება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 04 02

პროგრამის მიზანი:

სხვადასხვა სახის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია სხვადასხვა სახის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა.

პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (05 00)

პრიორიტეტის კავშირი ქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან:

პრიორიტეტი გამომდინარეობს ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, მასში განხილულია სტრატეგიული განვითარების გეგმის შემდგომი სტრატეგიული მიმართულებები, პროგრამები და პროექტები:

5.1.4 კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობა;

8.1 არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მისი პოპულარიზაციის მხარდაჭერა;

8.2 კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა;

8.3 შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა;

8.4 მრავალეთნიკური კულტურის განვითარების მხარდაჭერა;

9.1 მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა;

9.2 განვითარებისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობები ბათუმელი ახალგაზრდებისათვის.

პრიორიტეტის დასაბუთება:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა.

ბათუმი, კულტურული ცხოვრების თვალსაზრისით აქტიური, მიმზიდველი და საინტერესოა როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის, ასევე ვიზიტორებისათვის. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, ქალაქი, ფართო რეგიონული მასშტაბით, ეტაპობრივად ყალიბდება როგორც მნიშვნელოვანი ტურისტული და კულტურული ცენტრი. ქალაქში რეგულარულად იმართება საერთაშორისო და რეგიონული მასშტაბის ფესტივალები და კულტურული ღონისძიებები. ღონისძიებების სათანადო დონეზე ჩატარებისათვის აუცილებელია თანამედროვე, სტანდარტების შესაბამისი ტექნიკური ბაზის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს.

ვინაიდან კულტურული ტურიზმის როლი მეტად მნიშვნელოვანია ქალაქის განვითარებისათვის, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, ტურისტულ სეზონზე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებითა და სხვადასხვა უწყებებთან კოორდინაციით მოეწყობა მასშტაბური კულტურულ-სანახაობრივი ღონისძიებები, რომლებშიც მთელი სეზონის განმავლობაში ჩაერთვებიან პოპულარული ქართველი და უცხოელი შემოქმედები. კულტურული აქტივობები მორგებული იქნება ყველა თაობის ადამიანებისათვის და სანახაობრივად საინტერესო და მრავალფეროვანი როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი სტუმრებისათვის.

ქალაქისათვის პრიორიტეტულია კულტურის ხელმისაწვდომობის გაზრდა, ადგილობრივი ხელოვნებისათვის საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის ხელშეწყობა, კულტურულ ცხოვრებაში შშმ პირთა ჩართულობის უზრუნველყოფა, საზოგადოების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერა და კულტურული ღონისძიებების კონკურსის წესით შერჩევა.

ქალაქის კულტურულ მრავალფეროვნებას აქვს უდიდესი ტრადიცია, ტოლერანტული თანაცხოვრებისა და განვითარების პოზიტიური გამოცდილება. კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენს ქალაქის სიმდიდრეს და დემოკრატიული და სტაბილური განვითარების რესურსს. სწორედ ამიტომ, ბათუმისათვის პრიორიტეტულია თვითგამოხატვის მრავალფეროვნებისა და საზოგადოების ტრადიციული ღირებულებების დაცვა და კულტურათა შორის დიალოგის გაღრმავება.

კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, დაცვა, ინტერპრეტაცია და გამოყენება სოციალური და ეკონომიკური წინსვლის აუცილებელი პირობაა. კულტურული მემკვიდრეობა სულიერი და მატერიალური განვითარების მატიაზე, ერის თვითშეგნების ჩამოყალიბებისა და თვითმყოფადი ეროვნული კულტურის უწყვეტობის წინაპირობა და კაცობრიობის საერთო საგანძურის განუყოფელი ნაწილია. ქალაქისათვის თავისი ისტორიული და კულტურული წარსულის დაცვა-შენარჩუნება უმნიშვნელოვანესია. ამდენად, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია.

სამოქალაქო საზოგადოებაში ბიბლიოთეკები წარმოადგენენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ერთ – ერთ საშუალებას და ისეთ დაწესებულებას, სადაც მკითხველი, თითოეული სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი ღებულობს ინფორმაციას მისთვის აუცილებელ და საინტერესო საკითხების შესახებ. პრიორიტეტის ფარგლებში, ა(ა)იპ - „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გაგრძელებს საგანმანათლებლო და საინფორმაციო ფუნქციების შესრულებას, უზრუნველყოფს ეროვნული ლიტერატურის, კოლექციებისა და საარქივო მასალების დაცვასა და გაციფრულებას და საჯარო მომსახურებათა ხელმისაწვდომობას.

სპორტის სფეროში თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებები განსაზღვრულია კანონმდებლობით (საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი,“ საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2014 წ. 04.04 #601 განკარგულება „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის“ დამტკიცების შესახებ).

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით.

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფის აუცილებელ პირობად მოიაზრება და ფიზიკური და სულიერი გაჯანსაღების გზაზე გადადგმული ნაბიჯია.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, მასობრივი სპორტის განვითარება და სპორტის ხელმისაწვდომობის გაზრდა, ახალგაზრდების მასობრივ სპორტში ჩართვა და ჯანსაღი ცხოვრებას წესის პოპულარიზაცია, შესაბამისი უნარ - ჩვევების დამკვიდრება, საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა და აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ხელს შეუწყობს მასობრივი სპორტის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, უზრუნველყოფს მასობრივი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარებას, ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობას, შშმ და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა ჩართვას სპორტულ აქტივობებში და მათთვის შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობას.

ქალაქისათვის ასევე მნიშვნელოვანია სპორტის ცალკეული სახეობების პოპულარიზაცია და ადგილობრივი სპორტსმენების ოსტატობის ღონის ამაღლების ხელშეწყობა, სპორტის

სხვადასხვა სახეობებში ინიცირებული პროექტების მხარდაჭერა და სპორტული ღონისძიებების კონკურსის წესით შერჩევა.

ახალგაზრდობა, ისეთი დინამიურად განვითარებადი ქალაქისთვის, როგორც ბათუმია - განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენს. კონკურენტუნარიანი, ეროვნული და თანამედროვე ფასეულობების მქონე ახალგაზრდობა ქალაქის მომავალია. ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტი ახალგაზრდობის სრულფასოვანი განვითარების ხელშეწყობაა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია უზრუნველყოს ახალგაზრდების ქალაქის საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის და მონაწილეობის შესაძლებლობები და ასევე ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის განვითარებას, კონკურენტუნარიანობის ზრდას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. სწორედ ამიტომ პრიორიტეტულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული „ახალგაზრდული ცენტრის“ განვითარება, რომელიც იქნება კომფორტული და უსაფრთხო გარემო ახალგაზრდებისათვის. ცენტრში ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას, ისეთი კომპეტენციების შეძენას, როგორიცაა ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები. ისინი შეიმუშავენ და განახორციელებენ პროექტებს, დაგეგმვენ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, სამთო და შემეცნებით ტურებს, ჩაერთვებიან მოხალისეობრივ საქმიანობაში, რომელიც ემსახურება საზოგადოებრივ სიკეთეს. ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების მიზნით, მერია ასევე მხარს დაუჭერს სოციალურ მეწარმეობას, ინტელექტუალურ და შემეცნებით პროექტებს, საზაფხულო ბანაკებს, ენების ცენტს და სხვ. აქტუალურ და ინოვაციურ პროექტებს.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

კულტურასა და სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება და დაცვა, ახალგაზრდების განვითარებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობების განვითარება.

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა;
- კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები;
- კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება;
- განვითარებისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობები ბათუმელი ახალგაზრდებისათვის.

პროგრამა: სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 05 01

პროგრამის მიზანი:

ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, საზოგადოების აქტიური ჩართულობა სპორტულ ცხოვრებაში, სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობის და განვითარების ხელშეწყობა;
- საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა;
- ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა;

- სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა;

- ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი „ნონა“;

- ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

უზრუნველყოფილია საზოგადოების ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

პროგრამა: მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 05 02

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი;

- სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გამართულია და განახლებულია მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურა.

პროგრამა: კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი
პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები
პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1
პროგრამული კოდი: 05 03
პროგრამის მიზანი:

ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- კულტურული ღონისძიებების მართვა;
- ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები;
- კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა;
- საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა;
- კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ხელშეწყობილია ქალაქში კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება.

პროგრამა: კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი
პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები
პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1
პროგრამული კოდი: 05 04
პროგრამის მიზანი:

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა და ხელოვანთა მხარდაჭერა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება::

- ფოლკლორის ხელშეწყობა;
- თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა;
- კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა;
- ხელოვანთა ხელშეწყობა;
- ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ხელშეწყობილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა და გაზრდილია ბათუმელ ხელოვანთა ცნობადობა.

პროგრამა: კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი
პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 05 05

პროგრამის მიზანი:

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება და დაცვა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

დაცულია და შენარჩუნებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

პროგრამა: განვითარებისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობები ბათუმელი ახალგაზრდებისათვის

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 05 06

პროგრამის მიზანი:

ახალგაზრდობის გააქტიურება და სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, ახალგაზრდობის შესაძლებლობების რეალიზება და მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ახალგაზრდული ცენტრი;

- ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

შექმნილია ახალგაზრდობის განვითარებაზე ორიენტირებული გარემო. უზრუნველყოფილია ახალგაზრდობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა და ხელშეწყობილია მათი სამოქალაქო ინიციატივები.

პრიორიტეტის დასახელება - ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (06 00)

პრიორიტეტის კავშირი ქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან:

პრიორიტეტი გამომდინარეობს ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, მასში განხილულია სტრატეგიული განვითარების გეგმის შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები, პროგრამები და პროექტები:

6.1 ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა და უსაფრთხო გარემოს შექმნა მოქალაქეებისათვის;

6.2 სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

6.3 სოციალური (საზოგადოებრივი) რისკების მართვის მექანიზმებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, ცხოვრების გარანტირებული მინიმუმის შექმნა.

პრიორიტეტის დასაბუთება:

მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ასევე სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესება საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც განსაზღვრულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიით - „საქართველო- 2020“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო სერვისებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალურად მოწყვლადი კატეგორიის მოსახლეობისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით. ხოლო სოციალური დაცვის სერვისების განვითარების კუთხით, რეგიონის პრიორიტეტს სოციალური დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ასევე, მოწყვლადი ჯგუფების სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა წარმოადგენს.

2019 წლის დასაწყისში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის პოლიტიკის 2019-2021 წლების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს იმ პრიორიტეტებისა და ამოცანების ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ შემუშავებულ ხედვას და რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს და მომდევნო წლებშიც განხორციელდება დაგეგმილი ღონისძიებები და აქტივობები.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკა ეფუძნება იმ ძირითად საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე აღიარებულ პრინციპებსა და ფასეულობებს, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვას და სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრას, შედეგად უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოსახლეობისთვის ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე და თანამედროვე სამედიცინო პრეპარატებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ხარისხიანი სამედიცინო სერვისის მიწოდების უზრუნველყოფა და ბათუმის სამედიცინო ტურიზმის ცენტრად ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნა და მინიმალური სტანდარტების დანერგვის უზრუნველყოფა, ასევე, უმუშევრობის დონის შემცირება და სხვადასხვა პროგრამების ამუშავებით დამსაქმებლების სტიმულირება მოსახლეობის დასაქმების უზრუნველსაყოფად, მოწყვლადი სოციალური ჯგუფების სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. ასევე, აუცილებელია, გათვალისწინებული იქნას სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალურად მოწყვლადი კატეგორიის მოსახლეობისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით, ავადობისა და სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზების პრევენცია, ასევე შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და ეპიდემიურად კეთილსაიმედო გარემოს

უზრუნველყოფა, რაც საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას შეუწყობს ხელს და პირდაპირ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას. დოკუმენტს საფუძვლად უდევს unicef-ისა და სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევები.

ქ. ბათუმის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტით (საქართველოსა და აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების პროგრამები) დაფინანსებული პროგრამებით, თუმცა რჩება სამედიცინო სერვისების ნაწილი, რომელთა სრულად დაფინანსება აღნიშნული პროგრამების ფარგლებში ვერ ხერხდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტს წამოადგენს სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა ქალაქის მოსახლეობისთვის, რაც დაკავშირებულია მკურნალობასთან და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებასთან სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, ასევე საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით ასევე წარმოადგენს ავადობისა და სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზების პრევენცია, ასევე შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება, რაც საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას შეუწყობს ხელს. პრიორიტეტში აქცენტი ასევე გადატანილია სამედიცინო დაწესებულებების სერვისის ხარისხის ამაღლებასთან, კონკურენტუნარიანი დარგების გამოვლენასთან, რომელიც საფუძვლად შეიძლება დაედოს სამედიცინო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას და პაციენტთა მოზიდვას სხვადასხვა ქვეყნებიდან. აღნიშნულის მისაღწევად, აგრეთვე ფუნდამენტურ მნიშვნელობას იძენს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და ეპიდემიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა.

სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი თანხვედრაში მოდის საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ მიმართულებებთან და მიმართულია სოციალურად დაუცველი ოჯახების, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საბაზისო სოციალური გარანტიებით, მინიმალური სტანდარტებით და მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფისაკენ. აგრეთვე პრიორიტეტებში გათვალისწინებულია დასაქმების ხელშეწყობა და აქცენტი გადატანილია უპირატესად მოწყვლად სოციალურ კატეგორიაზე.

ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები ძირითადად ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში. თუმცა რჩება სოციალური უზრუნველყოფის მომსახურეობის ნაწილი, რომლის დაფინანსება აუცილებელია განხორციელდეს როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებიდან, ასევე მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებიდან და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება; ავადობის და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარების რისკის შემცირება; ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა; მოქალაქეთა ღირსეული ცხოვრების პირობების უზრუნველყოფა; მოსახლეობის სიღარიბით, ხანდაზმულობით და შეზღუდული შესაძლებლობებით გამოწვეული სოციალური რისკების შემცირება. დასაქმების ხელშეწყობა.

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- ჯანმრთელობის დაცვა;
- სოციალური უზრუნველყოფა;
- სანიტარული ზედამხედველობისა და ეპიდსიტუაციის მართვა.

პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 06 01

პროგრამის მიზანი:

მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივება და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება; ავადობის პრევენცია და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარების რისკის შემცირება. ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა;
- ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია;
- ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა;
- ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;
- მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება;
- C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება;
- შ.შ.მ. სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია;
- ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია;
- ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება;
- ღვიძლის და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარება;
- მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება;
- ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება;

- თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება;
- სამედიცინო დაწესებულებების შესაძლებლობების კვლევა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, უზრუნველყოფილია დაავადებათა ადრეული გამოვლენა, პრევენცია და მკურნალობა

პროგრამა: სოციალური უზრუნველყოფა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 06 02

პროგრამის (დასაბუთება) მიზანი:

საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობების გაუმჯობესება და მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- მოწყვლადი ჯგუფების ძირითადი კომუნალური მომსახურება;
- მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა;
- მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება;
- მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება;
- მუნიციპალური უფასო სასადილო;
- დროებითი ღამის თავშესაფარი;
- სოციალური უზრუნველყოფის სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა;
- მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების გამცილებლით მომსახურება;
- დასაქმების ხელშეწყობა;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა და გაუმჯობესებულია საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობები.

პროგრამა: სანიტარული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 06 03

პროგრამის მიზანი:

სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, გადამდები დაავადებების პრევენცია.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი
- დეზინსექცია დერატიზაციის ღონისძიებები;
- მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

შემცირებულია ინფექციურ დაავადებათა გავრცელების რისკ-ფაქტორები და უზრუნველყოფილია ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო.

პრიორიტეტის დასახელება: ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება (07 00)

პრიორიტეტის კავშირი ქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან:

პრიორიტეტი გამომდინარეობს ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, მასში განხილულია სტრატეგიული განვითარების გეგმის შემდგომი სტრატეგიული მიმართულებები, პროგრამები და პროექტები:

2.1 ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების ანალიზი და ამ ფუნქციების განვითარების პერსპექტივების შესწავლა. ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ორგანიზაციების გაძლიერება, დივერსიფიკაცია და რაოდენობის ზრდა;

2.2 ბათუმის ქალაქმომსახურების ფუნქციების ანალიზი და ამ ფუნქციების განვითარების პერსპექტივის შესწავლა. ბათუმის ქალაქმომსახურების ორგანიზაციების გაძლიერება, დივერსიფიკაცია და რაოდენობის ზრდა;

3.1 ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა;

3.2 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

3.3 საერთაშორისო თანამშრომლობა და ქსელური კავშირები;

3.4 ბათუმში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარება;

3.5 ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობა;

5.1.1 მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება და სამშენებლო პოლიტიკის გაუმჯობესება;

5.1.2 ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების დამტკიცება;

5.1.3 ძველი ბათუმის ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა და რეაბილიტაცია.

პრიორიტეტის დასაბუთება :

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბათუმი საქართველოს მუნიციპალტეტებს შორის მაღალი ეკონომიკური ზრდით გამოირჩევა, რაც განპირობებულია ტურიზმის სექტორის სწრაფი განვითარებით, უძრავ ქონებაში ინვესტირების ზრდით და სამშენებლო სექტორის გააქტიურებით. ქვეყანაში სიდიდით და მნიშვნელობით მეორე ქალაქის სტატუსის მიღწევის შემდეგ, ბათუმი დადგა განვითარებადი სექტორების ზრდის ტემპის შენელების საფრთხის, ეკონომიკის დივერსიფიკაციის, ქალაქის სივრცით განვითარების, ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციების საზოგადოების განვითარებასა და ქალაქის კონკურენტუნარიანობასთან სინქრონიზაციის აუცილებლობის წინაშე.

ბათუმი, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, მე-2 ქალაქია საქართველოში თბილისის შემდეგ. მოსახლეობის ზრდა, ბუნებრივმა ტემპასთან ერთად, გამოწვეულია ადმინისტრაციული საზღვრების გაზრდით. 2018 წლის მონაცემებით, ბათუმის მოსახლეობა 160 800 ადამიანია, აქედან, 51,2% ქალია და 48,8% მამაკაცი. ბათუმის მოსახლეობის 70% შრომისუნარიანია (15-დან 64 წლამდე ასაკის მოსახლეობა), ხოლო ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში 78% შეადგინს. შრომისუნარიანი მოსახლეობის 49% თვითდასაქმებულია. მოსახლეობის საშუალო ასაკი ქალის - 37,4 მამაკაცის - 34 წელია. მოსახლეობის შიდა მიგრაციული ნაკადები, მიუხედავად იმისა რომ ოფიციალურად არ აღირიცხება, ძირითადად შეინიშნება აჭარის მუნიციპალიტეტებიდან, განსაკუთრებით ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებიდან. შიდა მიგრირებული მოსახლეობის დიდი ნაწილი დაბალკვალიფიცირებულ სამუშაო ძალას წარმოადგენს.

2018 წელს ბათუმი მიუერთდა ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG), რომლის ფარგლებშიც აიღო ვალდებულება მოამზადოს, დაამტკიცოს და განახორციელოს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმა. აღნიშნული გეგმა მომზადდა და გეგზავნა მერები ეკონომიკური ზრდისთვის პროექტის სამდივნოსა და მსოფლიო ბანკს რეკომენდაციებისათვის. მსოფლიო ბანკის მიერ აღნიშნული გეგმა შეფასდა როგორც ერთ-ერთი საუკეთესო და 2019 წლის 30 სექტემბერს ევროკავშირის სამდივნოს წარმომადგენლებთან, პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში, გამართულ შეხვედრაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატი. გეგმა 2019 წლის ბოლომდე დასამტკიცებლად გაეგზავნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რის შემდგომაც გეგმის ფარგლებში დაიგეგმება და განხორციელდება კონკრეტული ღონისძიებები რეკომენდაციების მიღების შემდგომ, ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა გაეგზავნება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და დამტკიცების შემდგომ სავალდებულო სახელმძღვანელო გახდება მუნიციპალიტეტისათვის, რის საფუძველზეც მოხდება შესაბამისი სამოქმედო ღონისძიებების ასახვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. აღნიშნული გეგმის მიხედვით, ბათუმში მზარდი ტენდენციით გამოირჩევა მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა ქ. ბათუმში. 2017 წელს მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 13%-ით გაიზარდა. მთლიანი დამატებული ღირებულებისა და დასაქმების მიხედვით, ადგილობრივი ეკონომიკის წამყვან სექტორებს წარმოადგენს მშენებლობა, ვაჭრობა, ტურიზმი (HoReCa), მრეწველობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები. ადგილობრივი ეკონომიკის თითქმის ყველა დარგი პირდაპირპროპორციულადაა მიზმული ტურიზმის სექტორზე.

ბათუმი, თბილისის შემდეგ ყველაზე მიმზიდველი მუნიციპალიტეტია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვისაც. თუმცა საინვესტიციო პოტენციალის მაქსიმალურ და მდგრად გამოყენებას ხელს უშლის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, სივრცითი მოწყობის გეგმისა და შესაბამისი დარგობრივი კვლევების არარსებობა.

არსებული გამოწვევების დასაძლევად, ასევე ქალაქის დასახლებული ტერიტორიების გეგმაზომიერი განაშენიანებისა და რაციონალური გამოყენების, ქალაქის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ქალაქს გააჩნდეს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაცია, რომელიც უზუნველყოფს ერთის მხრივ ქალაქის, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ორგანიზმის სივრცით-არქიტექტურული გარემოს, განაშენიანების ფორმებისა და იერსახის შენარჩუნებასა და განვითარებას, ასევე მეორეს მხრივ მისი ეკონომიკური პოტენციალის ზრდას, რაც განპირობებული იქნება ქალაქის ფუნქციონალური პროფილის კვლევისა და შესაბამისი პოტენციალის მქონე დარგების განვითარებით, რაც ასევე თავის მხრივ შეამცირებს რისკს ბათუმი გახდეს მონოფუნქციური - ეკონომიკის ერთ სექტორზე, კერძოდ, ტურიზმზე დამოკიდებული ქალაქი.

ქალაქ ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავებისა და დამტკიცების, აღნიშნულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ქალაქის ფუნქციონალური პროფილის დივერსიფიკაციისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს, რომ ქალაქი ბათუმი გახდეს ცხოვრების დონითა და ბიზნესის კეთების შესაძლებლობებით მიმზიდველი ქალაქი არამარტო ქვეყნის, არამედ რეგიონის მასშტაბით.

ამ დროისათვის, 2019 წლის 03 ივნისიდან ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, დასრულებულია ქალაქ ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების მომსახურების შესყიდვის მიზნით, ტექნიკური დავალების მომზადება და იგეგმება მისი წარდგენა საკრებულოსთვის შესათანხმებლად.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

- ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარების სტიმულირება;
- ქალაქის ეკონომიკური პროფილის დივერსიფიკაცია და გაძლიერება;
- ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა;

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- ქალაქის ურბანული განვითარება;
- ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამა: ქალაქის ურბანული განვითარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 07 01

პროგრამის მიზანი:

ქალაქის გეგმაზომიერი განვითარების უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენა;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ქალაქის განვითარება ხორციელდება გეგმაზომიერად, დამტკიცებული სტრატეგიის შესაბამისად.

პროგრამა: ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 07 02

პროგრამის მიზანი:

ქალაქის ეკონომიკური განვითარება, ბიზნესის ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნა;
- მდგრადი განვითარების ფორუმების ორგანიზება;
- ქალაქის საჭიროებებთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის კვლევების განხორციელება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია სამეწარმეო და ბიზნეს აქტივობა.

პრიორიტეტის დასახელება: მუნიციპალური სერვისების განვითარება (08 00)

პრიორიტეტის კავშირი ქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან:

პრიორიტეტი გამომდინარეობს ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, მასში განხილულია სტრატეგიული განვითარების გეგმის შემდგომი სტრატეგიული მიმართულებები, პროგრამები და პროექტები:

- 1.1 მოქალაქეზე და მის საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკა;
- 4.6 მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება;
- 4.7 მუნიციპალური ქონების მართვა.

პრიორიტეტის დასაბუთება:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების და კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვან საფუძველს ეფექტური მმართველობა და მუნიციპალური მომსახურების მიერ გაწეული მომსახურების მაღალი ხარისხი წარმოადგენს. მუნიციპალური მომსახურების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ამაღლების პროცესში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მდგრადი, ეფექტური და უსაფრთხო ელექტრონული მმართველობის სისტემების დანერგვას და განვითარებას. მოქალაქეთათვის, ასევე ბიზნეს სუბიექტებისათვის, ელექტრონული სერვისების დანერგვა მნიშვნელოვნად გაამარტივებს მუნიციპალური მომსახურების მიღების პროცესს, შეამცირებს მომსახურების მიღების ვადებს, გააუმჯობესებს კონტროლს გაწეულ მომსახურებაზე, ასევე მინიმუმამდე დაიყვანს საოპერაციო და ადამიანურ ხარვეზებს. გარდა აღნიშნულისა, ელექტრონული მმართველობის კომპონენტების იმპლემენტაცია ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, რაც ეფექტური საჯარო მმართველობის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს.

მომდევნო საშუალო ვადიანი პერიოდის განმავლობაში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი განახორციელებს ელექტრონული სერვისების დანერგვასა და თვითმმართველობის საქმიანობის გადატანას ციფრულ სივრცეში. განხორციელდება ელექტრონული სერვისების დანერგვა შემდეგი მიმართულებით:

- სივრცითი მოწყობა, არქიტექტურა და ზედამხედველობა;
- ეკოლოგია, დასუფთავება და გამწვანება;
- ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი;
- ეკონომიკური განვითარება და ქონების მართვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- სამხედრო აღრიცხვა;
- მონაწილეობითი ბიუჯეტირება.

გარდა ელექტრონული ხელმისაწვდომობის ამაღლებისა, მუნიციპალური მომსახურების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ამაღლების მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის ასევე პრიორიტეტულია მუნიციპალური მომსახურების მიღების გეოგრაფიული/ფიზიკური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. მომდევნო წლების განმავლობაში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია გააგრძელებს „ერთი ფანჯრის“ პრინციპის ამოქმედებას ყველა სახის მომსახურებაზე, რაც გულისხმობს ერთიანი მომსახურების მუნიციპალური სერვის ცენტრების ამოქმედებას. მიმდინარე პერიოდისათვის უკვე ფუნქციონირებს ოთხი მოდერნიზებული სერვის ცენტრი და შემდგომ წლებში ეტაპობრივად იგეგმება სხვა მოდერნიზებული სერვის ცენტრები მშენებლობა. მუნიციპალური სერვის ცენტრების მეშვეობით შესაძლებელი იქნება მუნიციპალიტეტთან დაკავშირებული მომსახურებების მიღება ერთ სივრცეში. ამასთანავე, „ერთი ფანჯრის“ პრინციპის ამოქმედება ხელს შეუწყობს მუნიციპალური სერვისების მიწოდების ხარისხის გაზრდას და თავის მხრივ გაამარტივებს და დაზოგავს არა მხოლოდ სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებულ პროცედურებსა და დროს, არამედ ასევე ხელს შეუწყობს

მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნას ბიზნეს სუბიექტებისათვის საჭირო სანებართვო თუ საკონსულტაციო მომსახურების ერთ სივრცეში და მოკლე დროში მიღების თვალსაზრისით.

2019 წლის 16 მარტს გაიმართა თანამონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის პრეზენტაცია, რისთვისაც შექმნილია "მონაწილეობითი ბიუჯეტირების ელექტრონული პლატფორმა" - (www.idea.batumi.ge) - რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჩართვა ბიუჯეტის ნაწილის დაგეგმვაში და ქალაქის განვითარებისთვის სასარგებლო იდეების მოზიდვა. აღნიშნულ პლატფორმაზე 15 მაისიდან - 10 ივნისის ჩათვლით დარეგისტრირდა 35 საპროექტო განაცხადი - იდეა და ამავე პლატფორმის საშუალებით ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობა მიიღო 1369 მოქალაქემ, ხმის მიცემის შედეგად გამოვლინდა სამი გამარჯვებული პროექტი, რომლებიც 2019 წლის ბოლომდე უნდა განხორციელდეს, 2019 წლის 28-29 სექტემბერს გაიმართა ერთი გამარჯვებული პროექტის განხორციელება (პროექტის დასახელება „ფრანების ფესტივალი“), დარჩენილი ორი პროექტი განხორციელდება მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე. მიმდინარეობს 2020 წლის იდეების მისაღებად მზადება.;

აღნიშნულის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია, როგორც მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული საინფორმაციო-ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შემუშავება, ასევე მუნიციპალური სამსახურებისა და უწყებების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება. ნებისმიერ ორგანიზაციაში სამუშაო პროცესების გაუმჯობესება, ოპტიმიზაცია და სტანდარტიზაცია საერთო ორგანიზაციული საქმიანობის გაუმჯობესების ეფექტური შესაძლებლობაა.

სამუშაო პროცესების გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია თითოეული უწყების და მუნიციპალური სერვის ცენტრის ორგანიზაციული ამოცანებისა და სამიზნე ჯგუფების/ბენეფიციარების საჭიროებების შეფასება, რაც შესაბამის უწყებას საშუალებას მისცემს განსაზღვროს საკუთარ საქმიანობაში არსებული გამოწვევები. სამუშაო პროცესების ოპტიმიზაცია ფოკუსირებული იქნება იმ პროცესებზე, რომელთა მეშვეობითაც ხდება ორგანიზაციის რესურსების გამოყენება და სამიზნე ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული საქმიანობის განხორციელება ან მათთვის მომსახურების გაწევა. ამდენად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის უწყებების საქმიანობაში სანდოობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ყველა ძირითადი სამუშაო პროცესის ოპტიმიზაცია, სტანდარტიზაცია, დოკუმენტირება, სისტემური კონტროლი და პერიოდული შეფასება. სტანდარტიზებული პროცესების დანერგვის შემდეგ დროთა განმავლობაში ასევე უნდა მოხდეს არაეფექტური ბიზნეს პროცესების იდენტიფიცირება და მათი ოპტიმიზაცია, რათა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ მუნიციპალური მომსახურების სისტემატიური განვითარება.

პრიორიტეტის საშუალო ვადიანი მიზანი:

მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული ეფექტური მუნიციპალური მომსახურების სისტემის დანერგვა და მუნიციპალური მომსახურების უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფა.

სამოქმედო გეგმა:

- მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესება;
- მუნიციპალური სერვისების მართვა;

- თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება.

პროგრამა: მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მუნიციპალური სერვისების განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 08 01

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობისა და ეფექტურობის ზრდა

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო
- ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება;
- მუნიციპალური სერვის-ცენტრების მშენებლობა;
- მუნიციპალური სერვის-ცენტრების განვითარება;
- თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა;
- ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

დანერგილია მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული ეფექტური მუნიციპალური მომსახურების სისტემა.

პროგრამა: თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მუნიციპალური სერვისების განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020-2023 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 08 02

პროგრამის მიზანი:

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- მონაწილეობითი ბიუჯეტით შერჩეული პროექტების დაფინანსება;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია დანართის სახით თან ერთვის (დანართი №2).

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების
2018-2023 წლების საშუალოვადიანი ბიუჯეტი

(ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
სულ ასიგნებები		164,527.1	175,514.6	158,460.6	223,021.5	239,979.9	244,896.3
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	26,340.1	28,126.4	35,147.6	42,341.0	46,388.4	44,890.3
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,618.6	1,650.0	1,770.4	1,721.1	1,788.5	1,788.5
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	5,380.0	5,485.7	5,429.7	6,778.7	6,778.7	6,778.7
01 03	სასესიო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	19,225.2	19,555.5	26,952.5	32,872.2	36,852.2	35,344.1
01 04	სარეზერვო ფონდი	0.0	1,250.0	750.0	750.0	750.0	750.0
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	0.5	50.0	100.0	50.0	50.0	50.0
01 06	წვევამდელთა ტრანსპორტირება	14.4	20.2	25.0	25.0	25.0	25.0
01 07	საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება	42.8	55.0	50.0	74.0	74.0	74.0
01 08	მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება	58.8	60.0	70.0	70.0	70.0	80.0
02 00	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება	81,507.6	81,140.1	58,387.0	98,243.6	101,772.2	107,439.8
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	36,440.7	44,359.6	29,146.9	25,452.7	19,576.4	14,935.1
02 02	სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება	10,499.7	8,858.1	8,729.0	9,787.7	9,787.7	9,787.7
02 03	საზაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	26,033.2	16,343.5	11,852.9	40,553.2	52,470.3	61,229.0
02 04	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	4,426.1	6,757.1	4,889.7	16,174.0	14,214.0	15,729.0
02 05	მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	970.8	828.7	606.6	1,049.1	997.0	1,032.1
02 06	ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა	1,330.1	2,996.6	2,325.9	2,794.0	2,294.0	2,294.0
02 07	ქალაქის კეთილმოწყობა	1,807.0	996.6	836.0	2,432.9	2,432.9	2,432.9
03 00	ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	11,396.8	15,920.1	13,169.6	20,224.0	20,135.0	19,705.0
03 01	ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება	7,907.2	9,327.1	9,314.0	9,313.0	9,313.0	9,313.0
03 02	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	3,489.6	6,593.0	3,855.6	10,911.0	10,822.0	10,392.0
04 00	განათლება	14,883.3	16,618.5	16,883.3	19,391.9	28,135.7	28,611.8
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	14,707.3	16,437.5	16,689.4	18,691.9	27,175.7	27,651.8
04 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	167.1	170.0	180.0	350.0	480.0	480.0
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	8.9	11.0	13.9	350.0	480.0	480.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	14,541.5	14,020.6	12,979.4	19,073.9	19,288.1	20,451.1
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	5,726.5	5,745.0	5,241.9	7,189.5	7,471.0	7,598.3
05 02	მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა	4,006.6	1,884.9	1,501.0	3,384.2	3,828.1	4,292.7
05 03	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები	2,407.9	2,847.7	2,828.7	3,433.8	3,558.8	3,555.8
05 04	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა	2,146.6	2,586.5	2,812.5	4,035.4	4,089.8	4,230.2
05 05	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება	133.5	784.9	385.8	805.6	85.0	486.1
05 06	განვითარებისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობები ბათუმელი ახალგაზრდობისათვის	120.5	171.6	209.5	225.5	255.5	288.0
06 00	ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა	13,717.6	16,304.5	15,261.9	18,538.5	19,193.9	18,476.6
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	3,649.8	6,171.7	3,954.5	7,486.3	8,067.1	7,349.8
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	9,363.5	9,354.8	10,590.4	10,277.1	10,351.7	10,351.7
06 03	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა	704.2	778.0	717.0	775.0	775.0	775.0
07 00	ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება	225.8	332.5	560.0	820.0	580.0	580.0
07 01	ქალაქის ურბანული განვითარება	184.0	130.0	510.0	450.0	200.0	200.0
07 02	ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა	41.8	202.5	50.0	250.0	250.0	250.0

07 03	ქალაქის ფუნქციონალური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია	0.0	0.0	0.0	120.0	130.0	130.0
08 00	მუნიციპალური სერვისების განვითარება	1,914.4	3,051.9	6,071.8	4,388.6	4,486.5	4,741.8
08 01	მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება	1,914.4	3,051.9	5,571.8	3,788.6	3,886.5	4,041.8
08 02	თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება	0.0	0.0	500.0	600.0	600.0	700.0

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018-2023 წლების ბიუჯეტის მაჩვენებლები

ბიუჯეტის ბალანსი

(ათასი ლარი)

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
შემოსავლები	162,247.9	156,289.8	146,460.6	119,375.0	121,524.6	123,434.6
გადასახადები	32,055.0	73,153.6	76,303.3	73,451.0	73,763.6	73,763.6
გრანტები	81,242.1	37,656.9	26,000.0			
სხვა შემოსავლები	48,950.8	45,479.3	44,157.3	45,924.0	47,761.0	49,671.0
ხარჯები	83,358.8	99,326.4	99,271.9	109,248.2	109,076.2	110,717.0
შრომის ანაზღაურება	19,374.6	22,229.0	23,588.5	23,715.6	23,715.6	23,715.6
საქონელი და მომსახურება	32,767.8	38,298.7	40,708.0	43,452.0	43,530.0	44,250.0
პროცენტი	3,898.0	5,315.0	5,610.7	7,650.0	7,850.0	7,950.0
სუბსიდიები	14,752.4	14,466.1	14,129.4	14,439.5	14,069.5	14,456.3
გრანტები	9.9	25.5	25.5	25.5	25.5	25.5
სოციალური უზრუნველყოფა	8,055.1	9,451.3	9,608.7	10,277.5	10,308.6	10,308.6
სხვა ხარჯები	4,501.1	9,540.8	5,601.1	9,688.0	9,577.0	10,011.0
საოპერაციო სალდო	78,889.1	56,963.5	47,188.7	10,126.8	12,448.4	12,717.6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	55,723.0	51,247.8	25,846.9	88,551.1	101,901.4	106,785.2
ზრდა	60,502.7	61,947.8	37,846.9	88,551.1	101,901.4	106,785.2
კლება	4,779.7	10,700.0	12,000.0			
მთლიანი სალდო	23,166.1	5,715.7	21,341.8	-78,424.3	-89,453.0	-94,067.6
ფინანსური აქტივების ცვლილება	7,838.9	-8,524.8				
ზრდა	7,838.9					
ვალუტა, დეპოზიტები	2,500.5					
აქციები და სხვა კაპიტალი	5,338.4					
კლება		8,524.8				
ვალუტა, დეპოზიტები		8,524.8				
ვალდებულებების ცვლილება	-15,327.2	-14,240.5	-21,341.8	-25,222.2	-29,002.2	-27,394.1
კლება	15,327.2	14,240.5	21,341.8	25,222.2	29,002.2	27,394.1
საშინაო	15,327.2	14,240.5	21,341.8	25,222.2	29,002.2	27,394.1
ბალანსი	0	0	0	-103,646.5	-118,455.2	-121,461.7

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

(ათასი ლარი)

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
შემოსულობები	167,027.5	166,989.8	158,460.6	119,375.0	121,524.6	123,434.6
შემოსავლები	162,247.9	156,289.8	146,460.6	119,375.0	121,524.6	123,434.6
არაფინანსური აქტივების კლება	4,779.7	10,700.0	12,000.0			
გადასახდელები	164,527.1	175,514.6	158,460.6	223,021.5	239,979.8	244,896.3
ხარჯები	83,358.8	99,326.4	99,271.9	109,248.2	109,076.2	110,717.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	60,502.7	61,947.8	37,846.9	88,551.1	101,901.4	106,785.2
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	5,338.4					
ვალდებულებების კლება	15,327.2	14,240.5	21,341.8	25,222.2	29,002.2	27,394.1
ნაშთის ცვლილება	2,500.5	-8,524.8	0.0	-103,646.5	-118,455.2	-121,461.7